

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ
საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს
მრჩეველთა საბჭოს წევრთა - მრჩეველთა კანდიდატურების შესარჩევ
ღია კონკურსში წარსადგენი განვითარების კონცეფცია**

პრეამბულა

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო საქართველოში გამორჩეულ მედია სივრცეს წარმოადგენს. ამის მიზეზი მისი ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა და სიზუსტე იყო. მაუწყებლის საქმიანობაში მიღწეული შედეგების შენარჩუნებასა და მის გაუმჯობესებაზე - საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო აქტების, მოქმედი კანონების და რეგულაციების მიხედვით - ასევე უნდა ზრუნავდეს სამეურვეო საბჭო. საზოგადოებრივი მაუწყებელი ტელე-, რადიო- და ინტერნეტ- სივრცეში კვალიფიციური კადრების, დაგროვილი გამოცდილების, არსებული, მატერიალური და ტექნიკური საშუალებების, კავშირებისა და პროექტების მეშვეობით ცდილობს შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს მუშაობის ხარისხი, ნდობა და სამაუწყებლო რეიტინგი.

წარმოდგენილი კონცეფცია ასახავს მაუწყებლის მიმდინარე გამონვევების და განვითარების ჩვენეულ ხედვას.

საკითხის აღწერა

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივი მაუწყებელია, რომლის საქმიანობაში უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება დაბალანსებული ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც გამოირიცხავს რომელიმე ჯგუფისათვის თუ პირისათვის უპირატესობის მინიჭებას. ეს პირობა რეგულირდება კონსტიტუციით, კოდექსებით, კანონებით და ა.შ., თუმცა მას, მნიშვნელოვანწილად, სარედაქციო დამოუკიდებლობა განაპირობებს. სარედაქციო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, თავის მხრივ, ასევე დამოუკიდებელია მრჩეველთა საბჭოს წევრებზე, იმაზე თუ რამდენად ახდენს მათ მიერ გადანყვეტილებების მიღებაზე გავლენას სამართლებრივი რეგულაციები, პირადი შეხედულებები, ღირებულებები თუ სიმპატიები. ამიტომ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეფექტურობის უმთავრეს საყრდენს პიროვნული თავისუფლების და დამოუკიდებლობის გააზრებული, შინაგანად აღიარებული და პრაქტიკაში რეალიზებული პრინციპებისადმი ერთგულება წარმოადგენს. ეს ეხება როგორც მრჩეველთა საბჭოს წევრებს, ისე მაუწყებლის სხვადასხვა რგოლში დასაქმებულ პირებს, რომლებიც ღიად და ნათლად გამოხატავენ თავის პოზიციას პროფესიულ საქმიანობაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში თუ პრინციპული გადანყვეტილებების დროს. ამ მხრივ, მაუწყებლის გარშემო განვითარებული პროცესები არაერთგვაროვნად იყო შეფასებული და მისი საერთო დინამიკა მაუწყებლის საქმიანობაზე დადებით გავლენას არ ახდენდა.

გავრცელებული ინფორმაციის ობიექტურობას განაპირობებს ეთიკის კოდექსი, ჟურნალისტიკის განათლება და პირადი შეხედულებები. მაუწყებლის ობიექტურობის შეფასების მექანიზმებს საჩივრების დინამიკა და გარე შეფასებების ხასიათი წარმოადგენს. როგორც სამეურვეო საბჭოს 2017 და 2018 წლების ანგარიშები მოწმობს - მაუწყებლის საქმიანობის პროცესში შესული საჩივრების რაოდენობა მცირე იყო, ხოლო მათზე რეაგირება დროული. ასევე, ბოლო წლების ანგარიშების მიხედვით (სამეურვეო საბჭოს ანგარიში, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი და სხვ.), მაუწყებელი ინარჩუნებს წამყვან პოზიციებს მთელი რიგი მიმართულებებით (საინფორმაციო გადაცემები, სხვადასხვა გასართობი გადაცემები, სპორტი და ა.შ.) და ნაწილობრივ აუმჯობესებდა ნდობისა და ობიექტურობის მაჩვენებელსაც.

საზოგადოებრივი მაუწყებელი საზოგადოების მიერ დაქირავებული მედია სივრცეა, რომელიც არა მარტო საზოგადოების ინფორმირებას ახდენს, არამედ ზემოქმედებს საზოგადოებრივ აზრზეც. ამიტომ მისი მიუკერძოებლობა და ფართო ჩართულობაზე ორიენტირება საზოგადოებრივი მაუწყებლის ძირითადი მიზანია. მისი ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე საქმიანობის გამჭვირვალობას განაპირობებს, რაც სამეურვეო საბჭოს წინა წლების ანგარიშებით იყო უზრუნველყოფილი. მაყურებელთან ინტერაქცია ასევე ზრდის მაუწყებლისადმი ნდობას და რეიტინგს, რაც მისი დამოუკიდებლობის უმთავრეს გარანტს წარმოადგენს. ამგვარ თანამშრომლობას მაუწყებლის პრიორიტეტებში საგანგებო ადგილი უკავია, თუმცა, ვფიქრობთ, პრაქტიკაში ეს მიმართულება კიდევ უნდა გაუმჯობესდეს.

არსებული გამოწვევები

საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის იმპიჩმენტმა მისი ადმინისტრირების და ფუნქციონირების საფრთხეები წარმოშვა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ადგილი ვალდებულებების შესრულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული რგოლი, ისევე როგორც პერსონალი აგრძელებს ადგილი ვალდებულებების შესრულებას, ეს სიტუაცია დროულად უნდა შეიცვალოს. ამიტომ, ჩვენს **პირველ** მიზნად დირექტორის შერჩევის კონკურსის დასრულებას მივიჩნევთ, სადაც უმთავრესი კრიტერიუმები იქნება კანდიდატის ცოდნა, გამოცდილება, საზოგადოებრივი მაუწყებლის საბაზისო პრინციპების უპირობო დაცვა და მაუწყებლის განვითარების ოპტიმალური ხედვა.

რაც შეეხება მაუწყებლის განვითარებას, ამისათვის, ჩვენი აზრით, შემდეგი ცხრა ამოცანის შესრულებაა საჭირო:

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ყოფილმა შემადგენლობამ შედარებით მარტივად დაასრულა მაუწყებლის დირექტორის იმპიჩმენტის და ბიუჯეტის ცვლილებების პროცესები, თუმცა რამდენჯერმე ვერ მოახერხა ახალი დირექტორის შერჩევა. სამეურვეო საბჭოს წევრების ნაწილის უფლებამოსილების ამონურვის ფონზე, საზოგადოების მხრიდან საბჭოსადმი დამოკიდებულებამ ძირითადად ნეგატიურ ხასიათი მიიღო. ამიტომ, **პირველი ამოცანაა** სამეურვეო საბჭოს საქმიანობის გაუმჯობესება და მის მიმართ ნდობის ზრდა. ამ მხრივ, უმთავრესად მიგვაჩნია დიალოგისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა როგორც საბჭოს წევრებს შორის, ისე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა საზოგადოებრივი მაუწყებლის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენდა. პროგრამული პრიორიტეტების ანალიზი

გვიჩვენებს, რომ რეგიონზე მორგებული თემებისა და საკითხების აქტუალიზება საზოგადოებრივ მაუწყებელში ყოველ წელს ხდებოდა, თუმცა ამავე ანგარიშებიდანვე ჩანს, ამ მიმართულებით მეტი სამუშაოა ჩასატარებელი. ჩვენი **მეორე ამოცანა** არის რეგიონზე ორიენტირებული გადაცემების ხელშეწყობა.

მაუწყებლის ეთერში მის მიერვე მომზადებული, პარტნიორების მიერ წარმოებული ან შექმნილი პროდუქცია გადიოდა. ჩვენი **მესამე ამოცანა** იქნება ახალი დამატებითი პროდუქციის ადგილზე მომზადების ხელშეწყობა და მხარდაჭერა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სუსტ მხარედ მიმდინარე პროცესების მრავალმხრივი ანალიზი და კრიტიკული საგამოძიებო ჟურნალისტიკის ნაკლებობა რჩება. მაუწყებლის ეთერი არ გამოირჩეოდა ანალიტიკური გადაცემების სიუხვით; უფრო მეტი დრო ეთმობოდა თოქ-შოუებს, რომელშიც სხვადასხვა მხარეს ჰქონდა საშუალება წარმოედგინა თავისი მოსაზრება. ამიტომ მაუწყებლის მიუკერძოებლობა ადგილობრივი და საერთაშორისო შემფასებლების მონვნებას იმსახურებდა. რაც შეეხება საგამოძიებო ჟურნალისტიკას, შეიძლება ითქვას, რომ ის ან საერთოდ არ იყო წარმოდგენილი, ან საკმაოდ ზოგად ხასიათს ატარებდა. ამიტომ, ჩვენს **მეოთხე ამოცანა** წარმოადგენს ამ მიმართულებების მხარდაჭერა, მათ შორის შესაბამისი ტრენინგების სახითაც, რომელიც ადგილობრივ ჟურნალისტებს დაეხმარება გაიუმჯობესონ საკუთარი ცოდნა და უნარები.

ერთ-ერთი მიმართულება, რომლიც სხვადასხვა წლებში მაუწყებლის ტელეფორმატში მნიშვნელოვან ადგილს იჭერდა იყო ადგილობრივი ისტორიის, კულტურისა და ყოფის საკითხების გაშუქება. როგორც ანგარიშები მოწმობს, ამ გადაცემებს კარგი რეიტინგი ჰქონდა. უცნობი, ნაკლებად ცნობილი, სხვადასხვა გავლენებისაგან თავისუფალი ისტორიებისა თუ საკითხების გაშუქება არამარტო ინფორმაციულ, არამედ საგანმანათლებლო მიზანსაც ემსახურება. ასეთ პროდუქციას ასევე შეუძლია ხელი შეუწყოს ცოდნის გადააზრებას, კრიტიკულ აზროვნებას და წარსულისა თუ აწმყოს მრავალმხრივ გააზრებას. ამიტომ, ჩვენი **მეხუთე ამოცანა**ა მხარი დაუჭიროთ ისტორიული და კულტურული ხასიათის გადაცემების მომზადებას და სხვა ორგანიზაციების მიერ შექმნილი მსგავსი პროდუქტის გაშვებას ეთერში.

უნყვეტი განათლება ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ახალი ცოდნისა და უნარების მიღების საშუალებაა. დინამიკური გლობალური სამყარო საჭიროებს ძველი ცოდნისა და უნარების გადააზრებას და ახლის შექმნას. ამ პირობებში მუდმივად საჭიროა ახალი ცნებების, მნიშვნელობების, დისკუსიებისა თუ გამოცდილების გაზიარება. ამიტომ, მაუწყებლის ყველა რგოლისათვის საგანმანათლებლო ფორმატის გაძლიერება, მათ შორის ადგილობრივ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის კუთხით, ყოველმხრივ სასარგებლო იქნება: მაუწყებლის თანამშრომლები მიიღებენ ახალ ცოდნას; უნივერსიტეტები, შესაბამისი აკადემიური პროგრამების ფარგლებში, გამოიყენებენ პრაქტიკოსი ჟურნალისტების გამოცდილებას; სტუდენტებს, დამწყებ ჟურნალისტებს, სტაჟიორებს საშუალება ექნებათ მოამზადონ სიუჟეტები უნივერსიტეტის შესახებ, რაც სასწავლებლის ცნობადობას და საქმიანობის გამჭვირვალობას შეუწყობს ხელს და ა.შ.. საერთო ჯამში, ორივე მხარე დაზოგავს რესურსებს და მიიღებს საგრძობ სარგებელს. ამიტომ ჩვენი **მეექვსე ამოცანა** იქნება მსგავსი თანამშრომლობის ხელშეწყობა.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2018-2019 წლების პრიორიტეტები მის შემადგენლობაში მოქმედი ტელევიზიის, რადიოს და ონლაინ მედიის პრიორიტეტები ცალ-ცალკე, მკაფიოდ და ნათლადაა გამოკვეთილი. ჩემი აზრით,

საზოგადოებრივი მაუწყებლის მომდევნო წლების პრიორიტეტების ნაწილში საჭიროა რამდენიმე დაზუსტების შეტანა. კერძოდ, მაუწყებლის 2018-9 წლების პრიორიტეტებიდან ჩანს, რომ ტელევიზიის შემთხვევაში ისინი ორ ძირითად ნაწილად იყოფა - ის რაც გავლენას ახდენს რეიტინგზე (ფილმების ჩვენება, სპორტული გადაცემები, საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის მიმართულება) და ის, რაც საჭიროა მაუწყებლის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის (საგამოძიებო ჟურნალისტიკა, ეკოლოგია, ევროპული სტანდარტებისა და ევროინტეგრაციის საკითხების პოპულარიზაცია, ახალგაზრდული თუ საბავშვო ფორმატი და განათლება). პრიორიტეტებში პირველი ნაწილი დეტალურადაა განვრილი და მისი რეალიზება ემყარება არსებულ პრაქტიკას და გამოცდილებას; მეორე ნაწილი უფრო დეკლარაციულ ხასიათს ატარებს. ამ მხრივ გარკვეული წვლილი შეაქვს სხვადასხვა პარტნიორი ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტებს. მაგრამ, ვფიქრობთ, საჭიროა მეტი დეტალიზაცია. მაგ., აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ახორციელებს მრავალფეროვან პროგრამებს, რომელიც უპირველესად რეგიონის ინტერესებზეა ორიენტირებული (იგივე შეიძლება ითქვას კულტურის და ახალგაზრდობის მიმართულებაზე). სხვადასხვა პროგრამები ხორციელდება ცენტრალურ თუ რეგიონალურ დონზე (კონკურსები, გრანტები, სტიპენდიები და ა.შ.). მაუწყებლის პრიორიტეტებში ეს დეტალები არ ასახულა. რადიოს შემთხვევაში ამ თემატიკას უფრო მეტი დრო და ყურადღება ეთმობოდა. ამიტომ, პრიორიტეტების ნაწილში ჩვენი **მეშვიდე ამოცანაა** მხარი დაუჭიროთ ამგვარი პროგრამების პოპულარიზაციას, რადგან ისინი ადგილობრივ ახალგაზრდებს დაეხმარებიან მეტი ცოდნის მიღებაში სხვადასხვა სახის დაფინანსების მოსაპოვებლად.

პირდაპირი ეთერის ფორმატში მოქმედი რადიო ასევე საყურდლებო გამოწვევების წინაშეა. გადაცემის წამყვანის (შესაბამისად მაუწყებლის) მიუკერძოებლობა, ობიექტურობა და სიზუსტე, რესპოდენტის ავტორიტეტის და პოზიციის გამო, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. ალტერნატიული პოზიციის წარმოდგენა ამ შემთხვევაში მსმენელს საშუალებას მისცემს უფრო სრულფასოვნად გაიაზროს მიღებული ინფორმაცია. გარკვეულ სიფრთხილეს საჭიროებს მუსიკალური ნაწილიც. კერძოდ, კომპოზიციების ეთერში გაშვებისას ძალიან რთულია მათი შინაარსის ან შემსრულებლის მონიტორინგი. თუმცა, ვფიქრობთ, რომ კომპოზიციების (ცალკეულ შემთხვევებში შემსრულებელი), რომელიც პირდაპირ ან ირიბად ეწინააღმდეგება ძირითად ღირებულებებს და ფასეულობებს (ისევე როგორც ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ერთიანობას, შიდა და საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს და ა.შ.), მისთვის საეთერო დროს დათმობის საკითხი შეიძლება დაზუსტებული იყოს. ამიტომ, პროგრამულ პრიორიტეტებზე მსჯელობის დროს ჩვენი **მერვე ამოცანა** იქნება მხარი დაუჭიროთ დისკუსიას შესაბამისი საკითხების მეტი დეტალიზაციის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მაუწყებლის ფუნქციონირების და დინამიურობის გაზრდას.